

## ეყოფადის პატირებითის ნაკვეთისათვის ჩართულში

კავშირებითი კილოს გაღმომცემი სხვადასხვა ფუნქციურ-სემანტიკული საშუალებებიდან ქართულში წამყვანი როლი ზმნის ფორმას აქვს დაკისრებული და ეს ფორმა კი ძირითადად დრო-კილოთა ნაკვთების არჩევის არანებისმიერობით, მათი გამოყენების ერთგვარი განპირობებულობით ხასიათდება. ამის გამო, რომ კავშირებითი კილოს გაღმოსაცემად თანამედროვე ქართულში ყველაზე ხშირად არმლენიმე ნაკვთი მონაწილეობს. სწორედ ამ ხშირი გამოყენების გმო მათ სახელდებაში იმთავითვე აისახა აღნიშნული ფუნქცია კავშირებითობის გაღმოცემისა.

ძველი ქართველი გრამატიკოსებისათვის ზმნურ ფორმათ დაჯგუფებისას უპირველესად დროის სემანტიკური მხარე იყო განმსაზღვრელი, ხოლო ეს დროები კილოთა მიხედვით ჰქონდათ დაჯგუფებული. ასე, მაგალითად, ზ. შანშოვანი თავის გრამატიკაში გამოყოფს ხუთ კილოს (მისი ტერმინოლოგიით იგი ვითარია). მათ შორის ღლევანდელი კავშირებითის შინაარსს გამოხატავს სანეტარძო (ნატერითი) და საჭრელასო (პირობითი), რომელთაც თავისი დროები აქვთ: მყოფი [და] უსრული, სრული, მარადის სრული, ზესრული, მყოფადი<sup>1</sup>. ანალოგიური სურათი გვაქვს შემდგომი ხანის სხვა გრამატიკებშიც.

6. მარის ცნობილ ტაბულებში<sup>2</sup> ზმნური ფორმები წარმოებისა და სინტაქსური წყობის გათვალისწინებით დროულ ჯგუფებადაა დანაწილებული და მოცემულია ცდა, გამოყოფილ სამივე ჯგუფში კავშირებითი კილოს ფორმები გამიჯნულ იქნეს წმინდა დროული ფორმებისაგან<sup>3</sup>. პირ-

<sup>1</sup> Краткая грузинская грамматика, составленная Зурабом Шаншовани в 1737, СПб., 1881, გვ. 22, 27—30.

<sup>2</sup> Н. Марр, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, СПБ., 1908.

<sup>3</sup> თუმცა კილოურ ფორმებსაც 6. მარი განსაკუთრებულ დროებს უშოდებდა, რაღაც თვლიდა, რომ კილოთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება მათი შინაარსისა და გამოყენების თვალსაზრისით არ არსებობს, კერძოდ, კავშირებითი და ნატერითი კილოები არა მკვეთრად გამიჯნული თხრობითიაგან. ძველს ქართულში კავშირებითი კილო იმარტოდა მომავლის მნიშვნელობით, თხრობითი კილოს ორისტი ხშირად

ველი ჯგუფის დროებში<sup>4</sup> ნამყო უსრული (прошедшее несовершенное) ორ ნაკვთად არის გაყოფილი. პირველი — прошедшее несовершенное I-oe — დღევანდელი ნამყო უსრულის შესატყვისია: ვკლვად, ვიძყრობდო, ხოლო მეორე — აწმუოს კავშირებითის შესატყვისი: ვკლვიდ, ვიძყრობდ. ნამყო უსრულის ამ მეორე ჯგუფს ნ. მარი ნატვრითსაც უწოდებს: прошедшее несовершенное 2-ое (желательное). ასევე, დროთა მეორე ჯგუფში გამოყოფილია კავშირებითი (сослагательное): ვკლა, ვიძყრა, ხოლო მესამე ჯგუფში — ნამყო დროის კავშირებითი (прошедшее сослагательное): მეკლა, მეძყრას.

1925 წელს გამოცემულ ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკაშიც“ კვლავ ეს კლასიფიკაცია დარჩენილი იმ მცირე კორექტივით, რომ პირველ ჯგუფში ძირითად დროდ აწმუო აქვს კვლევარს გამოცხადებული, ნაწარმოებად კი — ნამყო უსრული და ნატვრითი, ე. ი. ნატვრითი უკვე ნამყო უსრულის ჯგუფში კი არა, არამედ დამოუკიდებელი „დროა“<sup>5</sup>.

შემდგომდროინდელი გრამატიკები ძირითადად ნ. მარის აღნიშნულ კლასიფიკაციას დაეყრდნო და, მაშასადამე, კავშირებითი კილოს შინაარსი ტერმინოლოგიურადაც აისახა ულვლილების პარალიგმებში.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში გვაქვს დრო-კილოთა ჯგუფების შესაბამისად I, II და III კავშირებითის ნაკვთები. მათგან უძველესია II კავშირებითი, I და III შედარებით ახალი წარმონაქმნებია<sup>6</sup>. ამასთან, I კავშირებითი საერთო სახელწოდებაა აწმუოს კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითის ნაკვთებისათვის. I კავშირებითი დიდხანს მოიცავდა ერთის მნიშვნელობასაც და მეორისაც. მაშასადამე, დრო-კილოთა I ჯგუფში დღეისათვის გვაქვს კავშირებითის ორი ნაკვთი, რომელთაგან ერთი — მყოფადის კავშირებითი — ქართული ზმინის ულვლილების სისტემაში ყველაზე გვიანაა ჩამოყალიბებული. ძველს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში იგი დამოუკიდებელ ნაკვთად არაა კვალიფიცირებული. მყოფა-

ცვლიდა კავშირებითს, ნამყო უსრული გვხვდება ნატვრითის ნაცვლად და, პირიქით, ოთხისტის მეორე პირი ბრძანებითობის გამოსახატავად გამოიყენება, ასევე აკრალვითი უარყოფისას ნუ ნაწილაკი აწმყოს მეორე პირიან გვაქვს, — იხ. Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, § 173, გვ. 141—142.

<sup>4</sup> დრო, ნ. მარის ტერმინოლოგით, დღევანდელი ნაკვთის შესაბამისია.

<sup>5</sup> Н. Марр, Основные таблицы... т. XIII.

<sup>6</sup> Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, § 199, გვ. 163.

<sup>7</sup> „უძველესსა“ და „ახალში“ იგულისხმება, რა თქმა უნდა, მათი ფორმობრივი არსებობა და არა ტერმინოლოგიური მხარე.

დის კავშირებითი ორც ნ. მარის ტაბულებშია მოხსენებული<sup>8</sup>. ა. შანიძის 1930 წელს გამოცემულ „ქართული ენის გრამატიკაშიც“ არაა მყოფა-დის კავშირებითი გამოყოფილი, როგორც დამოუკიდებელი ნაკვთი, — მყოფა-დის კავშირებითისა და აწმუნს კავშირებითის ფორმები I კავში-რებითის საერთო სახელწოდებით ერთად ორის განხილული: გავკეთებდა, ვიტანჯებოდედე. შემდგომში, 1941 წელს, გამოკვლევაში „მწერივის კატე-გორია ზმნაში“ ა. შანიძე მწერივებს აჯგუფებს კილოთა მიხედვით და კავშირებითი კილოს ოთხ მწერივს გამოყოფს: აწმუნს კავშირებითს (сослагательный настоящего): ვცხოვრობდე, მყოფა-დის კავშირებითს (сослагательный будущего): ვაცხოვრებდე, აწმუნ-მყოფა-დის კავში-რებითს (сослагательный наст.-буд.): ვიცხოვრო და ნამყოს კავშირე-ბითს (сослагательный прошедшего): მეცხოვროს<sup>10</sup>.

1953 წელს გამოცემულ ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის სა-ფუძვლებში“ მწერივები კვლავ წარმოებისა და სინტაქსური წყობის მი-ხედვით არის დაჯგუფებული. ამ მონოგრაფიაში უკვე ცალკეა გამოყო-ფილი მყოფა-დის წრე და მასთან — მყოფა-დის კავშირებითიც<sup>11</sup>. ამის შემდეგ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში (და სასკოლო სახელ-მძღვანელოებშიც) მყოფა-დის კავშირებითმა თითქმის დაიმკვიდრა დამო-უკიდებელი ნაკვთის სტატუსი, თუმცა ზოგიერთ მკვლევარს ჯერაც საე-ჭვიდ მიაჩნია ეს ფაქტი.

არ. ჩიქობავას „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ მყოფა-დის წრის ნაკვთებიდან გამოყოფილი აქვს მხოლოდ მყოფა-დი და პირობითი (ა. შანიძის ტერმინოლოგიით იგივე ხოლმებითი)<sup>12</sup>. მისსავე „ქართული ენის მიმოხილვაში“ მყოფა-დის კავშირებითი პირობითი კავშირებითის (условное сослагательное) სახელწოდებით უკვე დამოუკიდებელ ნაკვ-თად არის ფიქსირებული<sup>13</sup>.

ასეთია ზოგადად მყოფა-დის კავშირებითის ნაკვთის ისტორია.

რამდენადაც მყოფა-დის კავშირებითი აწმუნს კავშირებითისაგან წარ-მოქმნილი ნაკვთია (ისევე, როგორც მთელი მყოფა-დის წრე აწმუნს წრი-საგან), მისი ნაკვთად გამოყოფის საფუძველი, ბუნებრივია, აწმუნს კავ-შირებითთან შეპირისპირებასა და მისგან განსხვავებულ სპეციფიკურ

<sup>8</sup> 6. მარს ტაბულებში საერთოდ არა აქვს გამოყოფილი მყოფა-დის წრე.

<sup>9</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1930, გვ. 125, 151.

<sup>10</sup> А. Шанидзе, Категория ряда в глаголе. Общие вопросы формо-образования глаголов на примерах грузинского языка, ენიმკის მოამბე, X, 1941, ვ3. 226.

<sup>11</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ. 222—224.

<sup>12</sup> ა. რ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის გან-მარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 062.

<sup>13</sup> Ари. Чикобава, Грузинский язык, Языки народов СССР, Иберийско-кавказские языки, т. IV, М., 1967, გვ. 50.

ფუნქციებშია საძიებელი. წინამდებარე სტატიის მიზანიც სწორედ ესაა.

როგორც ცნობილია, საერთოდ, მყოფადის წრის ნაკვთთა ჩამოყალიბება ასპექტის სისტემის შეცვლიმ განაპირობა<sup>14</sup>. სწორედ ამ მოვლენის შემდეგ გახდა ქართულში შესაძლებელი მომავლის გამოხატვა საკუთარი, დამოუკიდებელი ნაკვთებით. ზნისწინიანი აწყოს წრის ნაკვთები უკვე ორიენტაციას კი არ აღნიშნავდნენ, არამედ მათ დროული განსხვავების ფუნქცია დაექისრათ და, თუ ვხატავ აწყო იყო, დავხატავ უკვე მომივალი გახდა, ხოლო ვხატავ და ვხატე ერთნაირად უსრული ასპექტის ფორმებად იქცნენ, ისევე, როგორც დავხატავ და დავხატე — სრულისა. მგვარად, ასპექტი ულვლილების კატეგორიიდან წარმოქმნის კატეგორიად იქცა, ხოლო ახლად გაჩენილი დროული განსხვავებულობა უკვე ახალი ნაკვთის წარმოშობის საფუძველი გახდა. ასევე განსხვავდა ფუნქციურად ვხატავდი და დავხატავდი ფორმები. მაგრამ კარგა ხანს ასეთივე დაპირისპირება არ არსებობდა ვხატავდე და დავხატავდე ფორმებს შორის. მაშასადამე, აწყოს წრემ საკმაოდ აღვილად მოგვცა ორი ახალი ნაკვთი: მყოფადი და ხოლმეობითი, ხოლო მოსალოდნელი მყოფადის კავშირებითის ფუნქციებს კვლავ აწყოს კავშირებითი (იგივე I კავშირებითი) იტევდა.

რატომ შეფერხდა მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბება?

ძველს ქართულში კავშირებითისა და მომავლის გამოსახატვად გამოიყენებოდა ერთი და იგივე ნაკვთები; ამდენად, არც არსებობდა საჭიროება დამოუკიდებელი მომავლის (იგივე მყოფადის) კავშირებითის ნაკვთის არსებობისა. კავშირებითის ყოველი ნაკვთით შეიძლებოდა მომავლის აღნიშვნა. ამასვე ემსახურებოდა ცნობილი -მცა ნაწილაკიანი ინდიკატორი კონსტრუქცია. თუმცა ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მომავალი დრო და კავშირებითი კილო ერთი და იმავე ნაკვთებით გაღმოცემის დროსაც კი წმინდა ომოფორმებად არ წარმოლებებოდნენ, — მათ გარკვეული დამატებითი მახასიათებლებიც ჰქონდათ, რასაც ზემოთ სწორედ სხვადასხვა ფუნქციურ-სემანტიკურ საშუალებათა ერთობლიობა უუწოდეთ. მაგრამ ზნის ნაკვთი მაინც ერთი იყო, კონსტრუქცია უმრავლეს შემთხვევაში — მსგავსი, ხოლო მომავალი დროისა და კავშირებითობის სემანტიკური სიახლოეს (რაშიც იგულისხმება სასურველობა, შესაძლებლობა, სავარაუდობა, ე. ი. ზოგადად ირეალურობა), ამ ორ კატეგორიას კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებდა ერთმანეთთან<sup>15</sup>.

14. А. Шанидзе, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942; მისივე: ასპექტი, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 262—280; ზ. ჭუმურიძე, მყოფადის წარმოება ქართულში, თბ., მაცნე, № 6, 1967, გვ. 222—250.

15 ამის გამოხატულება უნდა იყოს, რომ ძველ ქართველ გრამატიკოსებს მყოფადის საილუსტრაციოდ ხშირად სწორედ II კავშირებითის ნაკვთის ზნები მოჰყავდათ.

მაშასადამე, ძველს ქართულში ყოველ ნაკვთს, რომელიც კავშირებით კილოს გამოხატავდა, შეეძლო გამოხატა მყოფადიც. ამ თვალსაზრისით ყოველი მათგანისათვის ერთგვარად შევევეძლო გვეწოდებინა მყოფადის კავშირებითი და, სანამ ფორმობრივად არ გაიმიჯნა ერთმანეთისაგან ეს ორი კატეგორია (მომავალი დრო და კავშირებითი კილო), მანამ არც შეიძლებოდა გაჩენილიყო საჭიროება და საფუძველი მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბებისა.

მცირე განსხვავება მყოფადისა და კავშირებითი კილოს გადმოცემაში ძველს ქართულში მაინც შეინიშნება<sup>16</sup>. მომავალი დროის გამოხატავად არ იყო საჭირო პიპოტაქსური კონსტრუქცია, რაც კავშირებითობისათვის აუცილებელია<sup>17</sup>. ამდენად, იგი შედარებით მარტივი კატეგორია იყო და ამიტომაც ასპექტის სისტემის შეცვლა ენამ ადვილად გამოიყენა მყოფადის წრის წარმოსაქმნელად და ამით კავშირებითის ფორმებთან მომავალი დროის აღნიშნული ომონიმის ასაცილებლად (ენა კი, როგორც ცნობილა, ყოველთვის ცდილობს ამგვარი ომონიმისაგან თავის დაღწევას). აქვე ისიცაა საგარაულებელი, რომ თვითონ ასპექტის სისტემის შეცვლის მიზეზი მხოლოდ ზმინისწინის ზმინათან შეზრდაში, მასთან მჭიდროდ და კავშირებასა და კავკასიის ერებთან დაახლოებაში<sup>18</sup> არ უნდა მდგომარეობდეს. გ. მაჭავარიანი ასპექტის ძველი სისტემის ახლით შეცვლას ქართული ენის განვითარების შინაგანი ტენდენციებით ხსნის და სამართლიანად გამორიცხავს გარეგანი ფაქტორების (უცხო ენობრივი სამყაროს გავლენა და სხვა) მოქმედებას<sup>19</sup>. იგი იმასაც შეინიშნავს, რომ აწყვის ხმარება მყოფადის ფუნქციით ფართოდაა გავრცელებული ბევრ ენაში. ამასთან, ძველი ქართულის პრევერბიან ფორმებს, როგორც უფრო განსაზღვრულს, უპირატესობა მიეცემოდა მყოფადის ფუნქციით მათს გამოყენებაში და პრევერბიანი აწყვით თანდათან გაგებულ იქნა მყოფადად<sup>20</sup>.

6. შანშვერისათვის მყოფადია დავბარო; ასევე, ანტონი დლევანდელი კავშირებითი გაგებით სისტემატურად ხმარობს „მყობადის“, — ალგენა; გაოზიც „მყობადის“ უწოდებს გაქონ-ს. თხრამითი კილოს მომავლის პარადიგმებში აქვთ II კავშირებითი სხვა ქართველ გრამატიკოსებაც (ვარლამი, ი. ქართველიშვილი, ფირალოვი), — იხ. მ. ძო შ ვ ი ლ ი, კილოს კარეგორია ქართულში (შესწავლის ისტორია), — ხელნაწერი.

16 ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. პ ა ძ ი ძ ე, კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 7, 1981, გვ. 28—44.

17 იქნებ ამის გმირც უწოდებს ანტონი პირობით კილოს (რაც თავისთვავად დლევნდელი კავშირებითის სემანტიკაში შემოდის) ქუმრწყობილებითის (//კპოტეტიკას//თუობის), ხოლო გაიოზი ამავე ტერმინით — ქუმრწყობილებითი//აპოტეტიკა — აღნიშნავს ნატვრით კილოს.

18 А. Шаниძე, Изменение системы выражения вида... გვ. 958.

19 გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, 1974, გვ. 132.

20 იქვე.

ეს პროცესი, შესაძლოა, დააჩქარა აგრეთვე ზემოთ იღნიშნულმა ენობრივმა მოთხოვნილებამაც (ფუნქციური ომონიმის აცილებისა). ასევეტის სისტემის შეცვლა და მყოფადის წრის წარმოქმნა ფაქტიურად დროის გრამატიკულად გამოხატული სამწევროვანი სისტემის საბოლოო ჩამოყალიბების საფუძველიც გახდა: სანამ კავშირებითი კილო და მომავალი დრო ფორმობრივად არ გაიმიჯნებოდა ერთმანეთისაგან, მომავალი დრო ერთგვარად მხოლოდ სემანტიკურად იარსებდება<sup>21</sup>, მით უმეტეს, რომ თვითონ კილოს კატეგორიისათვის დროული განსაზღვრა არა ჩანს დამახასიათებელი. იგი თითქოს დროის გარეშე დგას. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესოა გ. დეეტერსის მსჯელობა კილოს შესახებ. იგი შენიშნავს, რომ ქართულში კილო ორ დროში გვხვდება: იმპერიუმელივის ფუძისაგან კონიუნქტივის იმპერიუმელივი იწარმოება, ძირისაგან კი — კონიუნქტივის აორისტი. ორივენი წარმოშობით უდროონი არაა: პირველი იმპერიუმელივია, მეორე — პერიუმელივი<sup>22</sup> (ხაზი ჩვენია, ა. 3.).

ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურზე „უღვლილების ნაკვთები ასახავდნენ ასპექტებს: განგრძობითს (დიურატიულს) და წერტილებრივს (მომენტობრივს)“<sup>23</sup> და ზმნის უღვლილებაც „დროთა მიხედვით ცვლას არ გულისხმობდა, უღვლილება ასპექტების ანუ პროცესის სახეობათა აღნიშნაში მდგომარეობდა“<sup>24</sup>. კილოს კატეგორიის ჩამოყალიბებაც ამ პერიოდისათვის უნდა ვივარიაუდოთ, — ირეალურისა და რეალურის დაპირისპირების საფუძველზე.

კავშირებითი კილო თავისი წარმოქმნის პირველ საფეხურზე დიურატიულობის სემანტიკას დაყერდნობოდა. რომ არაფერი ვთქვათ აწმყოს კავშირებითზე, რომელიც ამგვარი, — დროულობისაგან თითქმის თავისუფალი, — განუსაზღვრელი, განგრძობითი, ზოგადი კავშირებითია, ასეთივე სემანტიკა ეტყობა თვით III კავშირებითსაც (მიუხდავად იმისა, რომ ეს ნაკვთი აწმყოს კავშირებითთან შედარებით საკმაოდ გვიან უნდა იყოს ჩამოყალიბებული). და თუმცა III კავშირებითი ძირითადად ნამყო დროის კავშირებითობის აღსანიშნავად იხმარება, დიურატიულობა, განუსაზღვრელობა მისი ერთ-ერთი ნიშანია. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ე. წ. კატეგორიული გამორიცხვის წინადაღებები, რომლებიც ერთგვარად ზოგად მოდალობას აღნიშნავენ. მაგალითად, „მე არ მჰერა, რომ მას ეს

<sup>21</sup> საგულისხმოა, რომ ნ. მარი ქართული ზმნის კილოსა და დროის კატეგორიებზე მსჯელობისას მხოლოდ ახლანდელსა და აორისტს თვლის ქართლის ძირითად ღრეობად: «В грузинском два главных времена—настоящее и аорист», — Н. Марр, Грамматика древнелитературного... § 175, გვ. 142.

<sup>22</sup> G. Deetgers, Das Khartwelsche Verbum, Leipzig. 1930, § 258, გვ. 146.

<sup>23</sup> ა. რ. ნ. ჩიგობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იმპერიუმ-კავშირებში, I, 1948, გვ. 77.

გაეკეთებინოს“. საყურადღებოა, რომ III კავშირებითის ხმარების ძირითადი ასპექტი ამგვარი შინაარსი ჩანს (ნატერითობასთან ერთად), რამდენადაც აღნიშნულ კონსტრუქციებში იგი ძირითადად შეუვალია და მისი შენაცვლება II თურმეობითით იშვიათად ხდება.

რაც შეეხება II კავშირებითს, მისი უძველესი ფუნქცია, როგორც არაერთგზის შენიშნულა, კავშირებითობის აღნიშვნა არ უნდა ყოფილი ყო (არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, დ. მელიქიშვილი). II კავშირებითი დრო-კილოთა II ჯგუფის ნაკვებს შორის შედარებით გვიანი წარმოშობისადაა მიჩნეული<sup>24</sup> და მისი ჩამოყალიბება შესაძლებელია დროის სამწევროვანი სისტემის შექმნას უკავშირდებოდეს, — როდესაც ხოლმეობითის ნაკვთის ფუნქციათა ერთგვარი „გადანაწილება“ მოხდა.

ხოლო მას შემდეგ, რაც II კავშირებითმა მომავალი დროის აღნიშვნასთან ერთად მასთან სემანტიკური სიახლოვის გამო შეიძინა კავშირებითობის შინაარსი და იგი ამ თვალსაზრისით გახდა ერთგვარი იტეალისი, დროის გრამატიკულად არსებული სამწევროვანი სისტემა (ხოლმეობითი, აორისტი, II კავშირებითი) ფაქტიურად დაირღვა და მან წმინდა სემანტიკურ სიბრტყეზე გადაინაცვლა. ასეთი გთარება გაგრძელდა კარგა ხანს, კერძოდ, მანამ, სანამ მომავალმა დრომ კვლავ არ შეიძინა გამოხატვის საკუთარი ფორმები მყოფადის წრის სახით.

ყოველი ნაკვთი სხვადასხვა სემანტიკურ ფენათა შემცველია. ამასთან, ეს მნიშვნელობები უმთავრესად გარკვეულ სინტაქსურ-კონტრექსტუალურ დონეზე ვლინდება. მათ შორის ყველაზე გამჭვირვალე კატეგორიებია კილო და დრო. გეზი, ორიენტაცია, დროული თანამიმდევრობა, პირობითობა, შედეგობა, უნახობა, მრავალგზისობა... — ყველაფერი ეს ნაკვთის ნიშნები კი არაა, არამედ გარკვეული ნაკვთებით გარკვეულ კონტექსტში გამოვლინებული მნიშვნელობებია, რომლებიც ხშირ შემთხვევებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ. ამდენად, ცალკე განხილული ვხატავთ თხრობითი კილოს აწყუო კი არ არის, არამედ იგი გამოხატავს აწყუო დროს და თხრობით კილოს. გარკვეულ კონტექსტში იგი შეიძლება კავშირებითი კილოს გამომხატველიც იყოს („მას ჰეონია, თითქოს მე კარგად ვხატავ“). კონტექსტის გარეშე ხმარებულ დავხატავდე ფორმაზედაც შეიძლება ითქვას, რომ იგი არის მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს შინაარსის (და არა მომავლის კავშირებითის) გამომხატველი. თუმცა იქ, საღაც კავშირებითი კილო ერევა, დროულობა თითქოს ქრება კიდეც. როგორც ქვემოთ დავინახავთ, დავხატავდე ტიპის ფორმები (ე. ი. მყოფადის კავშირებითის ნაკვთის ზმნები) სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული სემანტიკური ნიშნებით წარმოდგება.

24 ა. რ. ნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... გვ. 10, შენიშვნა; მისივე: ენათმეცნიერების შესაბალი, თბ., 1952, გვ. 276.

5. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

მაშასალამე, კილო დროისაგან დამოუკიდებლად არსებობს, იგი ერთ-გვარად უძროო კატეგორია.

კილო და დრო უღველების პარალიგმებში ერთი ნაკვთის ფარგლებში სხვადასხვა დამხმარე სინტექსურ-სემანტიკურ საშუალებათა ერთობლობაში გამოხატული სემანტიკური კატეგორიებით. ამდენად, არ უნდა იყოს გამართლებული დრო-კილოთა სეთი სახელებია: აწყობილი დროის კავშირებით, წარსული დროის კავშირებით, მომავლის კავშირებით.

საერთოდ, მომვალი პირობითად შეიძლება ჩაითვალოს თხრობითი კილოს ფორმად, რამდენადაც ფაქტობრივად იგიც შესასრულებელი მოქმედებაა. ბრძანებითს შხოლოდ მომავლის შინაარსი იქნა. ამდენად, თხრობითი კილო თითქოს ისევე უპირისპირდება კავშირებითსა და ბრძანებითს, როგორც დროის ორწევროვან სისტემაში მომენტობრივი — განგრძობითს, დურატორულს. კილოური სისტემაც ორწევროვანი უნდა ყოფილიყო, — რეალურისა და ირეალურის დაპირისპირების ამსახველი. ამასთან, კავშირებით კილო, რომელიც ირეალურის ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, დროულად განუსაზღვრელია, ერთგვარად დურატიული სემანტიკისა. ეს განსაკუთრებით აწყობს კავშირებითს ეხება. აპექტის სისტემის შეცვლისა და მყოფადის წრის ნაკვთა წარმოქმნის შემდეგ მყოფადის კავშირებითის ჩამოყალიბების გახანგრძლივება აწყობს კავშირებითის (და საერთოდ კავშირებითობის) დიურატიულობით, ერთგვარი აქრონიული სემანტიკით უნდა იცხსნას. აწყობ და ნამყო უსრული დროის თვალსაზრისით დუნპირისპირდნენ თავიანთ ზმნისწინიან ვარიანტებს: მყოფადი და ხოლმეობითს. მიუხედავად იმისა, რომ წოვალობის სემანტიკა აწყოსათვის ბუნებრივია (ობიექტისაგან განკუნებული ყოველი ზმნა ზოგადი აწყობს შინაარსის მქონეა), ახლანდელი დროის გაღმოსაცემად იგი მაინც ერთადერთი ნაკვთია და ამტრომ დროული დაპირისპირება აწყო-მყოფადს შორის შედარებით აღვილად მოხდა. აწყობ კავშირებისათვის კი ირეალურობის სემანტიკაა უპირეველესად დამახასიათებელი და რაიმე დროული დაკონკრეტებისაგან იგი თავისუფალია. სწორედ ამ ზოგძობის გამო მას დროულად საპირისპირო, განსხვავებული ვარიანტის შექმნა გაუჭირდა.

სწორედ დროული განსაზღვრულობაა ის მირითადი ნიშანი, რითაც მყოფადის კავშირებითი აწყობს კავშირებითს უპირისპირდება. თუ აწყობს კავშირებითი დროულად განუსაზღვრელია, მყოფადის კავშირებითი — ნათლად გარკვეული მომავალი დროის გამომხატველი. მყოფადის კავშირებითის დროულმა განსაზღვრულობამ თავისთვავად ხელი შეუწყობრე აგრეთვე აწყობს კავშირებითის რამდენადმე დროულ დაკონკრეტებას (აწყო-მყოფადისა და ნამყო უსრულ-ხოლმეობითის ანალოგითაც) და

დღეისათვის გხატავდე და დავხატავდე თითქმის ისეთსავე მიმართებაშია, როგორც გხატავ — დავხატავ ფორმები.

გვიან ჩამოყალიბებისა და, ამასთან ერთად, იმის გამოც, რომ მომავალი დროისა და კავშირებითობის გადმისაცემად ქართულს II კავშირებითიც ჰქონდა, მყოფადის კავშირებითი ქართული ზმის უღვლილების სისტემაში ყველაზე ნაკლებად ხმარებული ნაკვთია.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გავრცელებულია შეხედულება, თითქოს თანამედროვე ქართულში ყველაზე იშვიათად III კავშირებითი იხმარება, რაც ზოგიერთ მკვლევარს აძლევს კიდეც იმის მოთხოვნის შესაძლებლობას, რომ იგი ამოღებულ იქნეს სასკოლო გრამატიკებიდან<sup>25</sup>.

მაგრამ თუ რომელიმე ნაკვთის შედარებით იშვიათი ხმარება მის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს და დამოუკიდებელ ნაკვთად გამოყოფის საფუძველს გამორიცხავს, მაშინ ეს უპირველესად უნდა შეხებოდა მყოფადის კავშირებითს და არა III კავშირებითს. მაგრამ ნაკვთად გამოყენების მეტ-ნაკლები სიხშირე ბუნებრივი მოვლენაა (შეუძლებელია ყველა ფორმა ერთნაირი ინტენსივობით იხმარებოდეს) და, თუ რომელიმე ფორმას საჭუთარი ხმარების თუნდაც სულ მცირე არე მოეპოვება, მას ვერ უშლებელყოფთ. ძველს ქართულში III ხოლმეობითის სულ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ძველი ქართულის ნაკვთად პარალიგმებში მის შეტანას.

ამიტომ III კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითის ნაკვთად გამოყოფის საკითხი უნდა გადაწყდეს არა მათი ხმარების სიხშირის მიხედვით, არამედ იმ ფუნქციების თავისთავაღობისა და სპეციფიკურობის მიხედვით, რაც მათ მოეპოვებათ. თუ მათ აღმოაჩნდებათ თუნდაც ერთი ფუნქცია, რომლის გამოსახატავად სხვა ვერც ერთი ნაკვთი მათ ვერ ცვლის სრულფასონად, მათი დამოუკიდებელ ნაკვთად არსებობა უეჭვო ფუნქტად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა განვიხილოთ, რა კონსტრუქციებში გამოიყენება მყოფადის კავშირებითი თანამედროვე ქართულში და რა ფუნქციური დატვირთვა აქვს მას.

მყოფადის კავშირებითი ყველაზე ხშირად გვხვდება დროის გარემოებით დამოუკიდებულ წინადაღებებში სანამ//შანამ//ვიდრე... საკავშირებულ სიტყვებთან ერთად.

მაგალითად:

1. ვიღ რე იმ მუხამდის მიღ წევ ვდე, ქარაფების კიდეს მიჰყება დამრეცილი გზა (კ. გამს.).

<sup>25</sup> ქ. კეკელია, სახელმძღვანელოს სატკივარი, გაზ. „კომუნისტი“, 29. IX. 1981, გვ. 3.

2. მთამსულელი, სანამ გზის გასაბრუნს მოეფარებოდეს, ერთხელაც მოხდავს და წერაყინს მაღლა აწევს (ჩ. ინან).

3. უწმინდეს სიცოცხლეს მე წმინდა სიკვდილი მისრევნია და, სანამ მოვდებოდ მა და ეს, მანამდე მანც კადევ ვიცდგბი, რომ ჩემი ლუკმა როგორმე დავიბრუნო (ჟაფა).

4. ამიტომ თაიგულს მანამდე ვაგდებ, სანამ აეროპორტში წავიდოდე („ხა-უნჯე“).

5. ვინე მ „თოჩქოფარანის“ წლიური კრების დღე დადგებოდეს, დუნდარ-დუბარა ბეი ამ ოპოზიციაში კიდევ შექმნის პატია-პატარა დაჯუფებებს („ხაუნჯე“).

6. სიტყვათი გარევალი ჭგუფი, სანამ ქვეისისტებად ჩამოყალიბდებოდეს ს, უკვე სხვა ფაქტორების გავლენას განიცდის (ბ. ფოჩხ.).

7. კარგი, დაგრჩება კიდევ ერთორ თვეს, სანამ მომიშუშდებოდეს თვალი, მაგრამ მერე რა ვწან? (ბ. ლუმბ.).

8. წავიდეთ, ვიღრე მოვარე მოებს მოეფარებოდეს (ჩ. ჯაფ.).

9. ხალხი ყველაფერს ხედავს და ვიღრე ბრძანებას დაწერდეს, ხელმძღვანელმა არა მარტო უტრიდოულ უფლებებს უნდა გაუწიოს ანგარიში, არამედ, საზოგადოებრივ აზრისაც („ახ. კომ“).

10. მან, პირველი, სანამ რაიმეს იტყოდეს, როგორმე უნდა მოახერხოს განსახილველი იტრიის თვალსაზრისხე დადგომა და ამის მიხედვით იმსჯელოს ნაწარმოების ავ-კარგზე (ჩ. ჯაფ.).

11. ცო და დედამიწავ, სიძულვილი ლანდად გააყოლე ასეთ მქადაგებელს, ქარბუქ, ზიღლში გახვიყ, სანამ ფეხს წამოვდგებოდეს და გატლეკილ ენას ძირფესვიანად ამოვგლეჭდე (ნ. ლორთქ.).

თუ კილოს განსაზღვრისათვის ამოსავლად მიციჩნევთ მოლაპარაკის დამოკიდებულებას ზმნის მნიშვნელობისადმი<sup>26</sup>, მაშინ ზემოთ მოყვანილ წინადაღებებში მყოფადის კავშირებითი თხრობითი კილოს შინაარსის გამომხატველად უნდა ჩავთვალოთ. მოსაუბრისათვის უეჭვო ფაქტია, რომ მუხამდე II პირს ქარაფების კიდესთან დამრეცი გზა შეხვდება (იხ. I წინადაღება), ასევე მოლაპარაკე ჩვეულებრივ ამბად, უეჭველ ფაქტიად თვლის, რომ მთამსულელი გზის გასაბრუნვამდე მოიხედავს (II წინადაღება), რომ სიკვდილამდე ეცდება საკუთარი ლუკმის დაბრუნებას (III წინადაღება), აეროპორტში წასვლამდე გადააგდებს თაიგულს (IV წინადაღება) და ა. შ.

აღნიშნულ წინადაღებებში კავშირებითი კილოს შინაარსი კი არ არის გამოხატული (რის ილუზიასაც ერთი შეხედვით ქმნის მყოფადის კავშირებითის ნაკვთი), არამედ დროული თანამიმდევრობა, კერძოდ — დამო-

26 შდრ: ა. შანიძე: „კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ საუბრის მიერ დასახლებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაულო, ან როგორც შესასრულებელი“, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1, 1973, გვ. 204. აგრეთვე: ა. ჩ. ჩიქობავა: „კილოს კატეგორიას საფუძვლად უდევს დამოვიდებულება მოლაპარაკისა ზმნის მნიშვნელისა და მიმდევრობის შესავალი, თბ., 1952, გვ. 275.

კიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედების შემდგომადობა მთავარი წინადადების ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან.

ამგვარად, დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მყოფადის კავშირებითის ნაკვთით გაღმოცემული მოქმედება მოსაუბრისათვის ფაქტია, რომელიც მოხდება სხვა მოქმედების შემდგომ. ეს სხვა მოქმედება მთავარ წინადადებაშია მოცემული. ამ თვალსაზრისით დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მყოფადის კავშირებითი გადმოსცემს ირეალურ მოქმედებას (იგი საუბრის მომენტისათვის ჭერ კიდევ არ მომხდარა), მაგრამ მისი ფაქტიად ქცევა, მისი შესრულება ეჭვს გარეშე. უფრო ზუსტად, ამ წინადადებებში აქცენტირებულია არა მოქმედების ფაქტობრიობის მიხედვით შეფასების გამოხატვა, არამედ დროული თანამიმდევრობის, გარკვეული დროული განსაზღვრულობის აღნიშვნა. ეს კი კავშირებითობის გაგებას არსებული თვალსაზრისის მიხედვით გამორიცხავს.

მაშასადამე, აღნიშნული ტიპის წინადადებებში მყოფადის კავშირებითი გამოხატავს თხრობით კილოსა და მომავალ დროს გარკვეული დროული თანამიმდევრობის ჩვენებით.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ საილუსტრაციო მაგალითები ერთი ტიპისანი არ არიან. იმის მიხედვით, თუ მთავარ წინადადებაში რომელი ნაკვთია, მთელი წინადადების კილოური შინაარსიც განსხვავებულია. როდესაც მთავარ წინადადებაში აწყობს ანდა მყოფადის ნაკვთი გვაქვს, მთელი წინადადებაც აშეარა თხრობითი შინაარსია, ხოლო, თუ II კავშირებითი გვაქვს (იხ. მე-9 — მე-10 წინადადებები), წინადადება კავშირებითის მოდალობის, კერძოდ, — საჭიროების, აუცილებლობის ანდა მოწოდებების, გამომხატველია, ზოგჯერ ერთგვარ ბრძანებითობასაც შეიცავს (იხ. მე-8 წინადადება). მხოლოდ ბრძანებითის ფუნქციით შეიძლება იყოს ნახმარი ნამყო ძირითადი მთავარ წინადადებაში (იხ. მე-11 წინადადება). მაშასადამე, წინადადების კილოს განსაზღვრავს მთავარი წინადადების ზმნა, მყოფადის კავშირებითი ამ თვალსაზრისით სრულიად პასიურია.

დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მყოფადის კავშირებითის არაკავშირებითობის შინაარსზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ამგვარასავე კონსტრუქციებში ძალიან ხშირად გამოყენებულია თხრობითი კილოს ნაკვთები<sup>27</sup>. მათგან განსაკუთრებით ხშირია მყოფადი.

მაგალითად:

აქ მოსული კაცი ვიდრე მემანქანის კვალიფიკაციას მიიღებს, თუ სამართალია, ფეხს არ უნდა იცვლიდეს, მაგრამ... მოდიან, მოდიან („ახ. კომ.“).

<sup>27</sup> საყურადღებო, რომ ჩუსულად თარგმნისასაც ამ ტიპის წინადადებების მყოფადის კავშირებითი თხრობითი კილოს მომავალის ფორმით გადადის. შერ. მაგ.. ითეთო ია დო თე პორ ბრიან, პირი ია მყოფადი.

სანამ ერთმანეთს ხეირიანად გავეცნობით, სანამ ერთმანეთის ლირსებებსა და ნაკლოვანებებს გავიგებით, სანამ ადამიანური ურთიერთობები მოწევს-რიგდება, სანამ ის ვაქბატონი ჩვენი კვლევის აზრს ჩასწვდება, გავა ორი და შეიძლება სამი ჭელიც (გ. ფანჯ.).

როგორც თავმოწონებული ფარშავანგი პეარობს, მინამ თავის შავ ფეხებს და ინახავს, როცა კი ძირს დაიხვდავს და თვალს მოჰკრავს, — მშენებელი დალონებული ჩამოყარის, — ისე ამ სიტყვებშედ ჩემმა ჯერ წახალისებულმა გულმა ჩამოყარა ფრთხები (ილია).

და კიდევ ბევრი დრო გავა, სანამ უკანვე გაბრუნდება; ჯერ კიდევ კარგა ხანს არ მოეღება ბოლო ასფალტზე დაყრილი ხალხის წვალებასა და მოლოდინს (ო. ჭილ).

ვიღრე ექთანი მობრძანდება, იმავე პაერით უნდა ისარგებლო, რომლითაც შე და პატივცემული ბულიკა ქსუნთქავთ (ნ. დუბბ.).

შენ დილზე აღრე უნდა ასლებ და, მანამ გათენდება, საირეში მიხვდე, თოვს ტალი დაუპირე (ვაჟა).

ჩიტის თვალით უყურე ქვეყნიერებას, მზეს ელაპარაკე, სანამ ბულისკენ წავა, ქანჩერის შეცის წინწალს ესაუბრე, კამაზა ჭავლს, ხასხასა ყანას, ბროლის ნიაცის (გ. ლეონ).

ამგვარსავე კონსტრუქციაში ზოგჯერ გვხვდება აგრეთვე I თურმეობითიც. ღროული თანამიმდევრობა ამ წინადაღებებშიც მკვეთრადა გამოხატული, მაგრამ მათ ერთგვარი თხოვნით-მუქარითი სემანტიკაც აქვთ, რაც კვლავ მთავარი წინადაღების ზმნისაგან მომდინარეობს.

მაგალითად:

ახლა უნდა დაგვეხმარო, სანამ გაცოფებულა (ნ. დუბბ.).

ახლა კი, ვიღრე მოსულა, ერთმანეთი გავიცნოთ (ნ. დუბბ.).

მომაწვევინე, ბიჭო, თუთუნი, სანამ ძალით წამირთმევია (ნ. დუბბ.).

დროული თანამიმდევრობაა აღნიშნული აგრეთვე წინადაღებებში, რომლებშიც სანამ//მანამ//ვიდრე საკავშირებელ სიტყვებთან გამოყენებულია ხოლმეობითის ნაკვთი. მყოფადის კავშირებითიან წინადაღებებთან უძღარებით განსხვავება მხოლოდ დროულ განსაზღვრულობაშია. მყოფადის კავშირებითის ნაკვთი დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებების გამოხატული მოქმედების შემდგომადობას აღნიშნავს არა მხოლოდ მთავარი წინადაღების ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან, არამედ საუბრის მომენტთან დაკავშირებითაც, ხოლო ხოლმეობითის ნაკვთით გამოხატულია დროული შემდგომადობა მხოლოდ მთავარი წინადაღების ზმნასთან შედარებით. ამასთან, მთავარი წინადაღების ზმნაცა და დამოკიდებული წინადაღების ზმნაც ამ შემთხვევაში ყოველთვის წარსული დროის შინაარსისაა, ოლონდ მთავარი წინადაღების ზმნა უფრო წინარე წარსულს აღნიშნავს, ხოლმეობითისა კი — მის შემდგომს.

მაგალითად:

შითხრა და მინაშ გონებას მოვიკრე ფლი, გაქრა, გმისხლტა (ვაჟა).

შეიცადა, სანამ გაიგებდა, როგორ ხსიათზე იყო ელენე (რ. ინან).

და ვიდრე სიკედილი მოვიდოდ თუ ა, საოცარი სიცხალით იგრძნო, როგორ გაიხსნა ღედამიწამ უბე და როგორ მიიღო თავის წილში (ნ. დუშბ.).

ჭერ კიდევ რამდენიმე, მაგრამ არააღმიანულად მტკიცებული ნაბიჯი ჰქონდა დარჩენილი, სანამ ოფლოსა და ევგენის გადააწყვდებოდა (ო. ჭილ).

დაიცადა, სანამ სიბნელეს შეაჩვევდა თვალს (ო. ჭილ).

მაგრამ სანამ მე მოვიმოქმედებდი რამეს, ბიჭმა შეატოკა თვი და რაღაც ჩიფრითა ხმით იყიდა (რ. ინან).

სანამ მდინარესთან მივიდოდოთ, რამდენჯერმე შევეცადე, თავიდან მომეშორებინა ეს აზრი (რ. ინან).

სანამ კოლას მთას მიაღწევდნენ, თორმეტჯერ წამოეწიენენ ყავნის მოლაშერები ღლალულოთა და ბარგით ღმისმებულ ლტოლვილებს (ლ. სან).

სანამ პატარძლის ოთახში შევიდოდოთ, გზაში ჩემმა მეგზურმა ქალმა დამარიგა („აბ. კომ.“).

სანამ ასავალ-გორის ხევში გადამივიდოდნენ, გორის პირში მოვკარ თვალ (ვაჟა).

დადგა ჩემი საფქვავის ჭერიც, ტომარის თავი მოვუხსენი და კოდთან ახლოს მივინჩენ, მერე დაუცუდე, სანამ უკანასკნელი პეშვი სიმინდი ჩასრიალდებოდა (ნ. დუშბ.).

სანამ როსტოცს მივაღწევდოთ, ჭვარს გვაცა (რ. ჭაფ.).

მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწევ გაუცხებულ ტახტულ და თავი ფაქრებს მივეცი (ილია).

მუხის მმიმე კარი ეკლესის დარაჯმა ძლიერ გაგვილო და იგი მანამ ეჭირა, ვიდრე შეი შევიდოდით (რ. ჭაფ.).

მთავარ წინადადებაში გამოხატულ მოქმედებასთან შეფარდებით ხოლმეობითის ნაკვთით გამოხატული მოქმედება მომავალი დროა, მაგრამ ეს მომავალი საუბრის მომენტისათვის უკვე ნამყოა. ხოლმეობითის სწორედ ამგვარი სემანტიკა უნდა იყოს საფუძველი იმისა, რომ მას ზოგიერთი მკვლევარი ნამყოფადარ ნამყოსაც უწოდებს (არნ. ჩიქობავა). სახელწოდება ნამყოფადარი ნამყო ზუსტად გამოხატავს ხოლმეობითის ნაკვთის ძირითად სემანტიკას.

თავისთვალ ცხადია, რომ დროის გარემოებით დიმოკიდებულ წინადადებებში, როდესაც სანამ//მანამ//ვიდრე საკავშირებელ სიტყვებთან ხოლმეობითის ნაკვთი გვაქვს, მთავარ წინადადებაში შეიძლება გვეონდეს მხოლოდ ნამყო დროის ნაკვთები, კერძოდ, ნამყო უსრული, ნამყო სრული და II თურმეობითი. მყოფადის კავშირებითის შემცველ ამგვარ კონსტრუქციებში კი გვაქვს აწმოს, მყოფადის, ნამყო სრულის (მხოლოდ ბრძანებითის ფუნქციით) და II კავშირებითის ნაკვთები, ე. ი. ექ წარსული დროის შინაარსი გამორიცხულია.

ამასთან, ყურადღებას იქცევს ერთი ფაქტიც. სანამ//მანამ//ვიდრე საკავშირებელ სიტყვებთან ერთად ნახმარი მყოფადის კავშირებითი ყოველთვის უარყოფითი ნაწილაკის გარეშეა, მაშინ, როდესაც იმავე კონსტრუქციებში კი გვაქვს აწმოს.

სტრუქტურაში, იმავე ფუნქციით ნახმარ მყოფადთან ხშირად გვაქვს უარყოფითი ნაწილაკები არ, ვერ ანდა უარყოფითი ნაცვალსახელები. ამგვარი წინადაღებების უზრავლესობაში მთავარ წინადაღებაშიც უარყოფა გვაქვს.

მაგალითად:

ხარი-თვალა კი ჩაგიკრავს ფრთებში და ოლარ გაგშორდება, სანამ სიყვარულით ფრთები არ შემოგებება (ნ. ლორთქ.).

წალი ახლა, წალი, მაგას ვერ გაიგებ შენ, სანამ საკუთარ თვალს არ დაკარგავ (ნ. ლუმბ.).

უნდა აյ ზღვის ძირზე ვიყო დაკურებული და არ გავიძრე, ვიღრე სულს არ დავდევ (ვაჟა).

ვიღრე მისი საფერხე კარგა ფერდს არ გამოიღებს, მანამდე არც შედგება პაპა გვაზე (ვაჟა).

მაგრამ ამ ემოციურობის რეგულატორი მაინც იდეული სამყაროა, რომელიც ყოფილობის მისიწრაფეის დაეკვატური რიტმისაკენ და ეს მისწრაფება არ შეჩერდება, ვიღრე არ იპოვნის მას („კომ.“).

არ წავა, იმიტომ კი ასა, რომ არ უნდა, იმიტომ, რომ არ შეუძლია, სანამ არ გაირკვევს, კიდევ რაზე უნდა დახუჭოს თვალი (ო. ჭილ.).

მისი შელავის სიმსხვის ნოლას იღლიაში ამონჩის და, სანამ ფესვებიანად არ ამობრა დავნის, არ მოეშვება (ნ. ლუმბ.).

შეინიშნება, რომ, განსხვავებით აღრე მოყვანილი წინადაღებებისაგან, როდესაც წართქმით წინადაღებებში მყოფადისა და მყოფადის კავშირებითის ნაკვთები ერთი და იმავე ფუნქციით იხმარებოდა, უკუთქმით წინადაღებებში ასეთი ფუნქციური იდენტურობა მყოფადსა და მყოფადის კავშირებით არ უჩანს. უფრო ზუსტად, ამ უკუთქმით წინადაღებებში მყოფადის ჩანაცვლება მყოფადის კავშირებითის ნაკვთით ისე თავისუფლად ვერ ხერხდება, როგორც წართქმითში. ამ კონსტრუქციაში მყოფადის ნაკვთია გაბატონებული. ფუნქცია კი ისევ იგივეა, — დროული თანამიმდევრობის ჩვენება.

მაგრამ, თუ მხოლოდ დამოკიდებული წინადაღებაა უკუთქმითი შინაარსისა, მაშინ უარყოფითნაწილაკანი მყოფადის ნაკვთი კონსტრუქციულად შეესაბამება მყოფადის კავშირებითისას (უარყოფითი ნაწილაკის გარეშე).

მაგალითად:

ნელ-ნელაობით კვდება კაცი, როცა ბერდება, ცოტ-ცოტაობით ცივდება, მანამ სამუდაბოდ არ გაცივდება (ვაჟა).

იქნებ დაიცალს, ვინემ ბრაბივეით წვერი არ წამოეზრდება? („საუნჩე“).

სულ თავისუფლად მყოფებს, სანამ თავზე ლაფს არ დაასხამენ (დ. კლდ.).

[ალამი] მის კომბაინზე დაჩინება მანამდე, ვიღრე მასზე უკეთეს შრომითს მაჩვენებებებს სხვა კომბაინზი არ მიაღწევს (კომ.).

ერთ უზარმაზარ, თოვლით გადალესილ მთაზე, სანით-სანამდე ვივლი, მანამ არ მივალ იმის სამფლობელოში (ვაჟა).

ამ წინადადებებში მყოფადის ნაცვლად მყოფადის კავშირებითის გა-  
მოყენება არავითარ სემანტიკურ ცვლილების არ იწვევს.

მაგალითად, შეიძლებოდა გვქონოდა:

ნელ-ნელაობით კვდება კაცი, როცა ბერდება, ცოტ-ცოტაობით ცივ-  
დება, მანამ სამუღამოდ გაცივდებოდეს.

ან: იქნებ დაიცადოს, ვინემ ბრძანისით წევერი წამოეჭრდებოდეს?

ან: სულ თავისუფლად ამყოფებს, სანამ თავზე ლაფს დაასხამდნენ-  
და ა. შ.

მყოფადის ნაკვთთან ამგვარ წინადადებებში არ ნაწილაკი უარყოფას-  
კი არ გამოხატავს, მყოფადთან ერთად მას სულ სხვა ფუნქციური დატვირ-  
თვა აქვს.

ამგვარივე მოვლენა აღინიშნება ხოლმეობითის ნაკვთთან დაკავში-  
რებითაც. დამოკიდებული წინადადების უარყოფითნაწილაკიანი ნამყო-  
სრული ფუნქციურად შეესაბამება ხოლმეობითს.

მაგალითად:

მიკრბოლით, სანამ ანული არ დაიღალა და გულზე ხელი არ მიიღო  
(რ. ინან.).

ასე რომ, მთელი ჩემი ბავშვობა, ვიდრე ნამდვილი ომი არ გათავდა, ხან  
ტყვე იყიდვა, ხან დაჭრილი, ხან მოენე, ხან ჯაშუში, ხან დივერსანტი და ხან მკვდარი  
(ნ. დუმ.).

მანამდე ვირბინე, სანამ მატარებლის ვაგონს არ მოვკარი თვალი („ახ-  
კომ.“).

სოფლის ბოლომდე გამოგვაცილა და იქ იდგა, ვიდრე თვალს არ მივე ფარეთ  
(ნ. დუმ.).

მირბოლა მანამდე, სანამ ველი არ გათავდა, და ფლატემ არ გადაუღო-  
ბა გზა (რ. ინან.).

და როცა დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად კურდღლისა იყო, გაჩნდა ძალების სრუ-  
სული, ნაბული, სანამ კურდღლის ერთი ღილა სავალზე არ გამთავდეს (დ. ჟენგ.).

კლის საფარში დარჩენილმა მებრძოლებმა მანამ უყურეს თოვლზე დოლიალებულ  
ორ ლაქის, ვიდრე ისინ ღმის უკუნს არ შეერწყნენ (რ. ჯაფ).<sup>28</sup>

შეიძლებოდა გვქონოდა:

მიკრბოლით, სანამ ანული დაიღლებოდა და გულზე ხელს მიიღებდა;  
ასე რომ, მთელი ჩემი ბავშვობა, ვიდრე ნამდვილი ომი გათავდებო-  
და, ხან ტყვე ვიყავი....;

მანამდე ვირბინე, სანამ მატარებლის ვაგონს მოვკრავდი თვალს;

<sup>28</sup> იშვიათად ამგვარ კონსტრუქციაში ნამყო სრული უარყოფითი ნაწილაკის გარე-  
შეც გვხდება. მაგ: „ისე მივეჩვიე დავიწყებას, რომ ღილი ხანი დამჭირდა, სანამ გამო-  
ვერჩვე სიხარულიდან“ (ნ. ლორთ). არ ნაწილაკის დაკარგვა (თუ საერთოდ უქონლო-  
ბა) განპირობებული უნდა იყოს სწორედ არ-ის უარყოფითობის სემანტიკის მიჩქმალ-  
ვით. ასეოივე მოვლენა მოსალოდნელია მყოფადთან დაკავშირებითაც.

სოფლის ბოლომდე გამოგვაცილა და იქ იდგა, ვიდრე თვალს მივე-  
უარებოდით.

და ა. შ.

თუ მთავარი წინადადებაც უკუთქმითი შინაარსისაა, დამკიდებული  
წინადადების უარყოფითნაწილაკიან ნამყო სრულს ხოლმეობითი აღვი-  
ლად ვერ ცვლის.

მაგალითად:

თვითონაც გულადად იყო საცოდავო, არ იცოდა, წინ რა ხიფათი მოელოდა, მი-  
ნამ ზედ არ წავდგინიას და მის დედას (ვაჟ).

გაუმართავია:

თვითონაც გულადად იყო საცოდავო, არ იცოდა, წინ რა ხიფათი მო-  
ელოდა, მინამ ზედ წაადგებოდა სერეფენიას და მის დედას.

განხილულ შემთხვევებში სანამ//მანამ//ვიდრე საკავშირებელ სიტყ-  
უბიან ღროის გარემოებით დამკიდებულ წინადადებებში მყოფადის  
კავშირებითი ისევე, როგორც ხოლმეობითი (ნამყოფადარი ნამყო), გამო-  
ჭენებულია არაკავშირებითის ფუნქციით. იგი თხრობითი კილოს სემან-  
ტიკისაა და სანამ//მანამ//ვიდრე სიტყვებთან ერთად გამოხატავს ღროულ  
თანამიმდევრობას, კერძოდ კი, მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული  
მოქმედების მიმართ შემდგომადობას. მაგრამ ეს ეხება წინადადებებს, რომ-  
ლებშიც საკუთრივ ღროული თანამიმდევრობაა აღნიშნული. თუ ეს ღრო-  
ული განსაზღვრულობა შეპირობებულია რაიმეთი, ან სასურველი თუ გა-  
შიზნული რაიმესათვის, მაშინ ამგვარ წინადადებებში, ბუნებრივია, გვაქვს  
კავშირებითობის სემანტიკა, რომლის აღნიშვნაში მთავარი წინადადების  
ზმნასთან ერთად (ძირითადი და განმსაზღვრელი სწორედ ის არის) დამო-  
კიდებული წინადადების მყოფადის კავშირებითიც მონაწილეობს. ამგვარ  
წინადადებებს ძირითადად ე. წ. დალოცვისა და წყევლის ფორმულათა  
სახე აქვთ.

მაგალითად:

ა, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრიეს, მინამ მამინაცვალს სახლში  
დაუსვამდეს თავის პატარა გორგისა (იმია).

იცოცხლე იმდენი ხანი, ვიღრე კახეთის საწნახლებსა და ქვევრებში ღვინო იწურე-  
ბოდეს, ვიღრე დედამიწა ისე გაცვდებოდეს, რომ ადამიანის ფეხის სიმძიმეს  
ვერარ უძლებდეს, ვიღრე დედამიწაზე წყალი დაშრებოდეს და დედამიწა  
უწყლოდ იწყებოდეს (გ. ლეონ.).

გაცოცხლოს და გადლეგჩქელოს.

სანამ მინდორს წავიდოდე,

კურდღლებს თავს მოუყრიდე,

დავბანდე უცე, დავვარცხხნიდე,

დავიწვენდე, დავპარსავდე,  
წინდაბაშის დავართამდე,  
მოვქმოვდე და მოგართმევდე,  
მანამდე ღმერთმა გაცოცხლოს. (ხალხ.).

საერთოდ, ნატერითი შინაარსის გადმოცემა მყოფადის კავშირებითის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფუნქციაა.

ნატერითს წინადადებებში მყოფადის კავშირებითთან ძალიან ხშირად გვაქვს ნაწილაკი ნეტავ ან ნატერისა თუ სურვილის სემანტიკის ზმნები.

#### მაგალითად:

მე კა ყველაფერს ვხედავ, მუნი მუსიკაზე ესაუბრობთ, ელექტრომუსიკაზე, და ვწინართ ჩემი მეუღლე არ ჟემოვეს წრებ თაღეს („საუნჯე“).

ნეტავ წავიდოდეს ბური („საუნჯე“).

მსახი გარმოდა და ფიჭრობდა: „ომ, ერთი თავისუფლების ობელისკამდე მივიჩნენ და მეტე და მეტე არაფერი მიჰირს“ („საუნჯე“).

ნეტავ მც მაგ გულის კარგად ყოფნით ეგ ენა გავიხმებოდეს და თვალი და ვაფსებოდეს (ნ. დუბბა).

ნეტავი ღმერთი ინდებდეს და ვინმე ამისთანა მოლა გამოჩნდებოდეს („საუნჯე“).

კარგი ყოფილა ქელები, — იძახოდა სარდიონი და მერე ამატებდა: ნეტავი მაჟახემიც მაღლ მოკვდებოდეს (ო. ჭილ).

ფიჭრობდა რაღაცით უკავყოფილ მძღოლი და გაცვეთილ საბურავებს ფეხსაცმლის წვერით სინგვადა: გზაში მანც არ გასკდებოდეს ეს უბატრონო... რამ წამომიყვანა ამ სიშორებზე („ციხესარი“).

მყოფადის კავშირებითიანი ნატერითი წინადადებები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფში მოთავსდება წინადადებები, რომლებშიც გამოხატულია უბრალოდ ნატერა, ყოველგვარი განპირობებულობისა და მიზნობრიობის გარეშე: ნატერა — ნატერად. ამგვარია ზემოთ მოყვანილი წინადადებები. მეორე ჯგუფში მოექცევა წინადადებები, რომლებშიც გამოხატული ნატერა ერთგვარად მიზნობრივია და მთავარ წინადადებაში მოცემულია თვით ნატერა, — გარკვეული პირობითობით დაკავშირებული ნატერის საფუძველთან, რაც უკვე დამოკიდებულ წინადადებაშია აღნიშნული. დამოკიდებულ წინადადებაში ერთგვარად გახსნილია მოლაპარაკის სურვილი, ნატერის მიზანი. სინტაქსურად ეს წინადადებები რთული ქვეწყობილია, მიზნის გარემოებით დამოკიდებული წინადადებით, თუმცა მათ გარემოები პირობითობის სემანტიკაც იქვთ და, თუ დავაზუსტებდით, შეიძლებოდა მათთვის მიზან-პირობითიც გვეწოდებინა.

#### მაგალითად:

ამ, ნეტავი მოერეოდეს, რომ კარგად სცემოს ბერდისასა და, რაც გუდაში ბალები ჰყავ დამწევდეული, ისინიც გაანთავისუფლოს (ვაჟა).

ნეტავი მეც ჩივ ჩივ ნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდა და ეს მისას პირისპირ (ვაჟა).

ახ, ნეტავი შენი წარბის ფერფლი მქნა, წამწამზე დაგეურებოდე (პ. ლეონ).  
 ვერცხლის თასადამც მაქცია,  
 რო ღვიძით აგევსებოდე,  
 დაფერილი მქნა წითლადა,  
 შამსმევდი, შაგერგებოდე,  
 ანა მქნა ოქროს ზურთვაი,  
 კალთაში ჩაგეშლებოდე.  
 ან ვერცხლის ფულად მაქცია,  
 ჭიბეში ჩაგეცრებოდე.  
 ან შენი ნაძღლის ყანა მქნა,  
 რო ფეხზე შეგეურებოდე,  
 ანა მქნა ვარდი, ყოილი,  
 რო პირზე დაგეურებოდე.

(ხალხ.).

შევნიშნავთ, რომ მყოფადის კავშირებითი ამგვარი ნატვრითი ფუნქციით ხშირადაა გამოყენებული ხალხურ პოეზიაში.

მაგალითად, ისევ ხალხური პოეზიდან:

ნეტავი ვიყო მე ვარდი,  
 შენს წინა გავიშლებოდე,  
 ვატარა ჩიტად მაქცია  
 უბეში ჩაგიჯდებოდე,  
 ზაქარ-ყინულად მაქცია,  
 ენაზედ დაგიდნებოდე.  
 მასუკან მოვადე, რახანა  
 შენს კეთილს მოვესწრებოდე.

ნატვრითობის ფუნქციას უკავშირდება მყოფადის კავშირებითის უნარი, — გამოხატოს თხოვნით-ბრძანებითი სემანტიკა.

მთის აღმოსავლურ დიალექტებსა და ხალხურ პოეზიაში შემჩნეულია ე. წ. თხოვნით-ბრძანებითი შინაარსის გამომხატველი ფორმები, რომლებიც სინტაქსური კონსტრუქციით დღეისათვის დრო-კილოთა მეორე ჭავჭავს განეკუთვნებიან. სემანტიკით ისინი დღევანდელ მყოფადის კავშირებით მოვაგონებენ. მათი ბრძანებითობა უფრო სინტაქსურ წყობაში გამოიხატება, თხოვნითობა — სემანტიკაში.

თხოვნით-ბრძანებითის აღნიშნული ფორმები მარტივ წინადადება-შიც გვხვდება და ქვეწყობისას მთავარ წინადადებაშიც.

იგულისხმება ამგვარი შემთხვევები:

წწალმა უთხრა წწალსა, — მაშიტანოდე სარკეო (ხალხ.).

ქალობა დაიკერხოდეს

ქალმა ხვარმზისთანამა (ხალხ.).

როცა შეგიყვარდე, მითხოვდე (პლ. ყაზ.).

ამ დიალექტებში ამავე ფუნქციით უფრო ხშირად თდი-იანი ფორმები გვხვდება. მაგალითად:

შთავ, შენ ის ჩემი ნათევამი გულ-მკერდზე დაიწეროდი, ბარო, წარმატები და წამზამნი იმ სიტყვით დაიკეროდი (ვაჟა).

როგორც გამოკვლეულია, ისტორიულად „ფშავ-ხევსურული ხოლმე-ობითი ნაკვთთა პირველ წყებს ეკუთვნოდა, იგი ნამყო უსრულისა და ხოლმეობითის შეჩრწყმის შედეგია, სახელდობრ, არქაული ნამყო უსრულისა და ხოლმეობითისა — არქაული ნამყო უსრულისაა I და II პირი, ხოლმეობითისა — III პირი“<sup>29</sup>. (რომელშიც ოდ/იდ წარმოება არა გვაქვს — უთხრის).

მსგავსი ფორმები ძველს ქართულშიცაა დადასტურებული და „ყველ-გან ამ არქაულ ნამყო უსრულს კავშირებითის მნიშვნელობა აქვს (ერგატიულ კონსტრუქციას მოითხოვს და ხოლმეობითის ფუძისაგანაა: ნაწარმოები ნამყო უსრულის -დ- სუფიქსით)“<sup>30</sup>.

ძველი ქართულის წარავლინნილის, აღიღოდიან, დაიბანოდიან... ფშავ-ხევსურულის უთხროდი/უთხრიდი ფორმების თხოვნით-წაქეზებითი ფუნქცია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში და სპორადულად ხალხურ პოეზიაშიც დაუკავშირდა მყოფადის კავშირებითის ნაკვთს და ე. წ თხოვნით-ბრძანებითი შინაარსის გამოსახატავად ზოგჯერ მყოფადის კავშირებითი გამოიყენება ხოლმე.

მაგალითად:

მომიტანდე, შემასმევდე, ეგებ ცოტა მოგჭობინდე (ხალხ.).

ისეთ მტევანს გავიყეობ, ამ ჩავიდეს გოდრის პირსა, ხანდახან შემო მო ხევიდ თ დე, ლიმი მოგდიოდეს პირსა (ხალხ.).

და როგორც შევდარი, ულაბონს ვიჯექ

და აღმიძახა უფლის ხმაშ: „ალსდექ,

წინასწარ-მეტყვო! სკვრეტლე; ისმენდე,

ჩემის ნებითა აღივსებოდე

და მოიგლიდე რა ხმელო და ზღვათა —

სიტყვითა გულებს უნებდე კაცთა! (ილია).

გახსოვდე, მომიგონებდე

მე შენვის ცრემლი მდისაო (ხალხ.).

მოახსენებდე, ჭაბუკო, მეფეს, ჩემის ვარაუდით: ასეთი უზარმაზარი ტაძრის აგებას ათი წლის მანძილზედაც ვერ შევძლებო ჩვენის ძალებით (ც. გამს.).

ხვალე, მეფის ბრძანებისამებრ, საერისთავოში გაემგზავრები, შთააგონებდე კვიაბერს და კოლონელიძეს, მეფის ერთგულებად მოიქცენ კვლავ, თორემ ჩენენ მოვალთ... (ც. გამს.).

რა იქნება, რომ ხინკალს გაგვიკეთებდე ემაგ კარტოფილით, მშიან? (რ. ინან.).

<sup>29</sup> არ ნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 86.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 89.

მყოფადის კავშირებითი გამოიყენება აგრეთვე ე. წ. პირობითი სახის წინადაღებებში.

### მაგალითად:

ა. თქვენ რომ მოისხამ და მადლს და ამ საქმეში დაგვიხმარებოდეთ, თქვენს ვალს სიკვდილამდე ვერ გადავიხდიდი („საუნცე“).

რომ ჩამოხვიდოდე სოფლად და კაცთა შორის დაიწყებდე საუბარს, რა დიდ მადლს იზიდო! (ვაჟა).

კარგს იხმარა, უნეტარესი, ზოგიერთი სამღვდელო პირის ნათქვაში შეამოწმებდე სო წინასწარ როგორმე (კ. გამს.).

ჩემი სისხლი რომ მოარჩენდეს შენს ქმარს, ძარღვს გავისხნი და ლავალევანებო (ილა).

მას ლაპარაკი არ უნდა, და ამასთან ერთი ღროით რომ ვახშაშს მაჭვევდე და დამაძინებდე, ძალიან დაგიმაღლი (დ. კლდ.).

თუკი რომ შემომით ვლიდე,

სულ ფრენით მოვალ შენამდე (ხალხ.).

პირობითი სახის წინადაღებებში მყოფადის კავშირებითით გამოხატული ზმნის მოქმედება უწინარესია მთავარი წინადაღებით გამოხატული ზმნის მოქმედებასთან.

პირობითი სახის წინადაღებებში მთავარი წინადაღების ზმნა ძირითადად ხოლმეობითის ნაკვთისაა. გვხვდება აგრეთვე მყოფადის ნაკვთიც. თუმცა შეიმჩნევა, რომ იქ, საღაც მყოფადის ნაკვთია გამოყენებული, მისი შენაცვლება ხოლმეობითით შესაძლებელია და, საერთოდ, ხოლმეობითის ხმარების ერთი გამოკვეთილი სახე ჩანს სწორედ პირობითი სახის წინადაღებებში მისი გამოყენება. ამის გამო ამ ნაკვთს პირობითსაც უწოდებენ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, კავშირებითი კილოს გამოხატვისათვის ქართულში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წინადაღების კონსტრუქციის და არა მხოლოდ ზმნის ნაკვთს, რადგანაც კილო უპირველესად სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორიად. ამიტომაც არის, რომ კავშირებითის გამოსახატავად ენა თვისისუფლად იყენებს თხრობითი კილოს ნაკვთებს, ოლონდ ასეთ შემთხვევაში შენარჩუნებულია აუცილებლად ის კონსტრუქცია, რომელიც ძირითადად კავშირებითი კილოს ნაკვთებისათვის არის დამახასიათებელი.

I, II და III კავშირებითების მრავალი ფუნქცია შეიძლება გადმოცემულ იქნეს შესაბამისი თხრობითი კილოს ნაკვთებით. მყოფადის კავშირებითის ნაცვლადაც გვხვდება თხრობითი კილოს ნაკვთი, კერძოდ, მყოფადი<sup>31</sup>. მყოფადისა და მყოფადის კავშირებითის ერთ კერძო მონა-

<sup>31</sup> შენიშნება, რომ ამგვარი შენაცვლებისას აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესანაცვლებელი და შენაცვლებული ნაკვთების ღროული ერთგვარობა.

ცვლეობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. აღნიშნულ შემთხვევებში მყოფადის კავშირებითი მომავალი დროისა და თხრობითი კილოს გამომხატველი იყო. შეინიშნება საპირისპირო მოვლენაც, — როდესაც მყოფალი მომავალი დროისა და კავშირებითის შინაარსის გამომხატველია.

მაგალითად:

ძხელია გაშირებითი სიტყვა, რომელიც ყოველივე ამას გააერთიანებს (ჩ. ჯაფ.).

ჩვენ ორ ისეთ ხელოვანს ვერ დავასახელებთ, რომლებიც ერთი და იგივე საგანს ერთ მხატვრულ სახეს მის ცემენ („ხაბჭ. ხელ.“).

ამ წინადაღებებს კავშირებითი კილოს ნაკვთთათვის კარგად დამახასიათებელი, გავრცელებული კონსტრუქცია აქვთ. მათ ე. წ. კატეგორიული გამორიცხვის წინადაღებებს ვუწოდებთ. ამ წინადაღებებში მყოფადის კავშირებითის ნაკვთი იყო მოსალოდნელი.

საერთოდ კი შევნიშნავთ, რომ მყოფადის კავშირებითის შენაცვლება სხვა ნაკვთით, როდესაც იგი კავშირებითობას აღნიშნავს, იშვიათად ხდება.

დაბოლოს, მყოფადის კავშირებითისა და აწმყოს კავშირებითის ურთიერთმიმართების შესახებ:

აწმყოს კავშირებითი დრო-კილოთა I ჯგუფში კავშირებითობის გამომხატველი' ძირითადი ნაკვთია. იგი იქმარება ნატერით წინადაღებაში, პირობით წინადაღებებში, შესაძლებლობის, ვარაუდის, მიზნის, თხოვნის... მოდალობათა გაღმოსაცემად. მას, ზოგადი აწმყოს მსგავსად, ერთგვარი ზოგადი კავშირებითის ფუნქცია აქვს და ხშირად მოქმედების მოხდენის შესაძლებლობის ჩვეულებითობაზე მიუთითებს.

აწმყოს კავშირებითს აქვს უნარი, გამოხატოს თხოვნითი მოდალობა, გარკვეულ კონსტრუქციებში იგი ბრძანებით კილოსაც აღნიშნავს, მაგრამ თანამედროვე ქართულში მხოლოდ მყოფადის კავშირებითს შეუძლია აღნიშნოს ე. წ. თხოვნით-ბრძანებითობა, გარკვეული დროული თანამიმდევრობა.

მყოფადის კავშირებითი აწმყოს კავშირებითისაგან წარმოქმნილი, მისგან გამოყოფილი ნაკვთია. ზოგჯერ მათ შორის დაპირისპირება ჯერ კიდევ მხოლოდ ასპექტურიც კია (ამას არც აწმყო-მყოფადის დაპირისპირებაა მოკლებული), მაგრამ მყოფადის კავშირებითს უკვე გამოკვეთილი აქვს თავისი ძირითადი სემანტიკური ნიშანი, — დროული განსაზღვრულობა. თუ აწმყოს კავშირებითი ერთგვარად უდროო კავშირებითია, მყოფადის კავშირებითი უკვე მომავალი დროის გამომხატველია. სწორედ მისი ამ სემანტიკიდან გამომდინარეობს მყოფადის კავშირებითის სპეციფიკური ფუნქცია, — აღნიშნოს დროული თანამიმდევრობა. მყოფადის კავ-

შირებითის გამოყენება დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადაღებებში სანამ//მანამ//ვიდრე საკავშირებელ სიტყვებთან ერთად მისი ის ფუნქციაა, რომლითაც იგი მკვეთრად განსხვავდება არა მარტო აწმყოს კავშირებითისაგან, არამედ კავშირებითი კილოს სხვა ნაკვთებისგანაც.

მყოფადის კავშირებითის აღნიშნული სპეციფიკური ნიშნები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ იგი აწმყოს კავშირებითისაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი ნაკვთია, აქვს თავისი სპეციფიკური ფუნქციები, გამოყენების არე და სტილისტიკური დატვირთვა.